თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5888098

ნომერი: AR1875758

თარიღი : 02.02.2022

გაცემის თარიღი : 07.04.2022

გაცნობის თარიღი : 08.04.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობი, V მ/რ კორპ.N2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ლეკიაშვილი პ/ნ 01010004306
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 217 ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 02 თებერვლის №AR1875758 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 09 თებერვლის №5796742 ბრძანებით, 2022 წლის 16 მარტის №5850505 და 2022 წლის 31 მარტის №5874897 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული, კერძოდ, მოთხოვნის ტექსტში მითითებულია, რომ საერთო ფართობი 507.87 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 707.33 კვ.მ. წარმოდგენილ გეგმებზე ორივე სართულის საერთო ფართობად დაფიქსირებულია 674.08 კვ.მ, ხოლო, ამავე გეგმებზე მითითებული ფართების გადამოწმების შედეგად საერთო ფართობი შეადგენს 675.09 კვ.მ-ს. ასევე, I სართულის გეგმის მიხედვით კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი შეადგენს 80.77 კვ.მ-ს, ხოლო, სართულის გეგმის ექსპლიკაციაზე მითითებულია 080.77 კვ.მ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა, მოთხოვნის ტექსტშიც და გეგმებზეც შესწორდეს საერთო ფართობის კვადრატულობა. ამასთან, მოთხოვნის ტექსტში შესწორებულ საერთო ფართობთან ერთად დაფიქსირდეს საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, დამხმარე, პალატების, საორდინატორო და საოპერაციო ფარბის შესაბამისი კვადრატულობები (ორივე სართულზე არსებული ფართობების ჯამური კვადრატულობები).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე) შესწორებული ფართობების და ექსპლიკაციების დატანით.
ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5874897 გადაწყვეტილებას გაეცანით 2022 წლის 31 მარტს, სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 03 (სამი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 01 (ერთი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 01 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 02 თებერვლის №AR1875758 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.